

Natela Chitauri

ნათელა ჩიტაური

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Shota Rustaveli Institute of Georgian Literature

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

Georgia, Tbilisi

საქართველო, თბილისი

Double Imagology as a Challenge of Globalization in Georgian Intercultural-Migration Writing

**ორმაგი იმაგოლოგია, როგორც გლობალიზაციის გამოწვევა
ქართულ ინტერკულტურულ- მიგრაციულ ტექსტებში**

Texts created abroad (our scientific group agreed on describing these as “Intercultural-migration writing”), are important quantitative and qualitative components of the new “Weltliteratur”.

Renewed functions of modern imagology, created by today’s migration-globalisation challenges, have become especially relevant to these texts. The imagological discourse of these writings considers the main problem – conflict or convergence between local/national and global/interkultural constructions of identity, identity alternatives.

In this article, we will discuss in particular: Soso Meshveliani’s prose collection-works written in Spain (2011-2022). Gabriel Tanie’s (Ioseb Gachava) “Reading for the Angels”, written in Czech (2021).

Key words: Interculturality. Migration. Imagology. Identity. Alternatives

საკვანძო სიტყვები: ინტერკულტურალობა. მიგრაცია. იმაგოლოგია. იდენტობა. ალტერნატივები

გლობალური, ინტერკულტურული, მიგრაციული სამყაროს ცვლილებების მიმართ ყველაზე სწრაფადმანერირებადი სოციოკულტურული ველი აღმოჩნდა, აქედან კი მწერლობა და იდენტობათა კვლევები, მით უმეტეს, პოსტსაბჭოთა სივრცის პატარა ქვეყნების შემთხვევაში. ამ დროს კულტურა, განსაკუთრებით ლიტერატურა, კიდევ უფრო მეტ „პასუხისმგებლობას იღებს“ უპასუხოს კითხვებს, რომლებიც ჩნდება ნაციონალური თუ გლობალური გამოწვევების ფონზე.

სსრკ-ს დაშლა, 1989 წლის 9 აპრილი, ეთნოკონფლიქტები, ომები, ტერიტორიების დაკარგვა, გარე და შიდა მიგრაციებით, ეთნოკონფლიქტებით გამოწვეული ეკონომიკური, ფსიქოლოგიური და იდენტობათა კრიზისი, გლობალიზაცია, მიგრაცია, კულტურათა კვეთა, ტექნოლოგიების ინტენსიური განვითარება, პანდემია – ყოველივე ეს იდენტობებზე აისახება. სწორედ იდენტობები ამჟღავნებს, რომ თავისუფლება არ აღმოჩნდა ადვილად მისაღები, ცნობიერება მწელად თავისუფლდება საბჭოური/კოლონიური იდეოლოგიისაგან. თუმცა დღეს აქტიურია ასევე პროდასავლური, ლიბერალურ ღირებულებებზე ორიენტირებული პოზიციები.

ნაციონალურ-ინტერკულტურულ იდენტობათა კვეთაში დაისვა კითხვები:

– რა ღირებულებების გარშემო ერთიანდება დღეს ქართველი საზოგადოება? რა წინააღმდეგობა ან თანხვედრა შეინიშნება იდენტობის ლოკალურ და გლობალურ კონსტრუქტებს შორის?

– როგორია ქართული „კულტურა-ხასიათის“ დღევანდლობასთან მიმართების რეალური სურათი? რა დავთმობთ, რა „დავივიწყებთ“, რა მივიღოთ ან როგორც გამოწვევა, ან როგორც რეალობა?

ქართულ პოსტსაბჭოთა სივრცეში ნაციონალური იდენტობის კვლევის იდეოლოგიური ჭრილი შეიცვალა კულტუროლოგიურით. დადასტურდა კულტურის, მწერლობის ისტორიულად ჩამოყალიბებული როლის ქმედითობა და სიცოცხლისუნარიანობა, წარმოჩინდა იდენტობისა და მწერლობის „თანამშრომლობის“ მნიშვნელოვანი პერსპექტივები. დღეს უკვე ეჭვგარეშეა, რომ ჰუმანიტარული დარგები მნიშვნელოვან საკვლევ არსენალს გვთავაზობს ნაციონალურ-გლობალური პრობლემების გადასაჭრელად.

ვფიქრობთ, ამ ვითარებაში მნიშვნელოვანია იდენტობათა კვლევა ქართველი მოღვაწეების მიერ საზღვარგარეთ შექმნილ ტექსტებში.

მიგრაციული ლიტერატურა დღეს „ახალი Weltliteratur“-ის ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწილია, დიდწილად განსაზღვრავს „ახალი Weltliteratur“-ის თვისობრიობას – თემატიკას თუ ჟანრობრივ თავისებურებებს. მსოფლიო სამეცნიერო-კვლევით სივრცეში თანამედროვე მიგრაციული ლიტერატურის სახელდების მრავალი ვარიანტი არსებობს.

ჩვენ ვუწოდებთ ინტერკულტურულ-მიგრაციული მწერლობა. შესაბამისად, **არსებობს ქართული ინტერკულტურულ-მიგრაციული მწერლობა**, რომელიც დღეს „ახალ Weltliteratur“-ში ერთვება უმთავრესი მახასიათებლით – **კულტურათაშორისი „მესამე სივრცით“**. ამ სივრცეში აისახება სხვადასხვა კულტურის შეხვედრა, კულტურული, თემატური, ჟანრობრივი და ენობრივი ჰიბრიდულობა. იდენტობათა ცვლადობა, „მომრაობა“, ჰიბრიდული და ახალი იდენტობების ჩამოყალიბების პროცესი. აქ შესაძლებელია კულტურათა მრავალმხრივი შედარება, ოპოზიციური სპექტრის წარმოჩენა კულტურათა კვეთაში.

დღეს ქართული ინტერკულტურულ-მიგრაციული მწერლობა, როგორც ახალი Weltliteratur“-ის ნაციონალური გამოვლინება, ყოველდღიურად ქმნის ახალ რეალობას. დღეს ამ სივრცის შემქმნელი ბევრი ავტორია ცნობილი, რომლებმაც მიაღწიეს წარმატებას.

ქართული ინტერკულტურულ-მიგრაციული მწერლობისათვის განსაკუთრებით რელევანტური გახდა თანამედროვე იმაგოლოგიის განახლებული ფუნქციები, რომლებიც წარმოშვა დღევანდელმა მიგრაციულმა, გლობალიზაციის გამოწვევებმა.

იმაგოლოგიური დისკურსი დღეს სრულიად განსხვავდება ადრეული იმაგოლოგიისაგან: დღევანდელ ინტერკულტურულ-მიგრაციულ ვითარებაში კულტურულ-ისტორიული იმაგოლოგია მნიშვნელოვან სტრატეგიად ჩამოყალიბდა სწორედ იდენტობის სოციოკულტურულ დისკურსში. საეტაპოა ბირგიტ ნოიმანის ნაშრომი „კულტურულ-ისტორიული იმაგოლოგიის საფუძვლები“ (Neuman, 2010). არსებობს იმაგოლოგიის თანამედროვე კონტექსტები, როგორც გლობალიზაციის გამოწვევა. იმაგოლოგიის ძირითადი ოპოზიციები „ჩვენ-ისინი“, „საკუთარი-სხვისი“ გაიაზრება უკვე კომპლექსურად, თანამედროვე კულტურულ-ისტორიულ კონტექსტში.

ინტერკულტურულ-მიგრაციულ მწერლობაში „უცხო“ მიმართ ინტერესის და შეცნობის შედეგად იქმნება ახალი იმაგოლოგიური ნარატივი, რაც შესაძლებლობას ქმნის სხვა პერსპექტივიდან გაანალიზდეს „მე“ უცხოეთში, ასევე მშობლიური, ლოკალური გარემო.

გამომდინარე ქართული მენტალური თავისებურებებიდან (ჯერ კიდევ თვალსაჩინოა ქართული ბუნების კოლექტივისტური ხასიათი), მკვეთრია შეპირისპირებანი: ნაციონალური და ინტერკულტურული, ნაციონალური და გლობალური, „მე-უცხო“, „იქ-აქ“.

იკვეთება უცხოეთში შეფასების რამდენიმე მიმართულება, რამდენიმემხრივი იმაგოლოგიური ხედვა:

– ხდება ის, რომ უცხოეთში ადამიანი თავის იდენტობას უცხოს თვალთაც უყურებს. ნაცნობი, მშობლიური უცხო გარემოში, ახალ კონტექსტში, გაუცხოებული სახით წარმოჩინდება.

– ადამიანიათვის თვალსაჩინო და გასაგებია უცხოელის თვალთ დასახული მშობლიური რეალობა.

– „სხვისი“ მენტალური სახე ამოვარდება და რჩება „თავისი“, ოღონდ დასახული გარედან, უცხოეთში ძლიერდება დისტანციიდან დასახვისა და შეფასების უნარი. ცნობილი ფაქტია, რომ დისტანციიდან, შორიდან შეფასება უფრო რეალური პოზიციის ჩამოყალიბების მოტივაციად შესაძლოა იქცეს. დღეს ქართულ ინტერკულტურულ-მიგრაციულ მწერლობაში ყველაზე აქტიური კონტექსტია იქიდან შენიშნული ქართული ეთნიკური იდენტობის საიდენტიფიკაციო ნიშნები.

ძალიან ხშირად იმაგოლოგია ამჟღავნებს ავტორის ქვეცნობიერს, ანუ რაც ჩამალულია.

ქართული ინტერკულტურულ-მიგრაციული მწერლობის იდენტობათა, მეხსიერებების, განსაკუთრებით კი იმაგოლოგიური დისკურსი ქმნის იმ „მესამე სივრცეს“, რომლითაც ის განსხვავდება „ადგილზე“ შექმნილი მწერლობისაგან.

ამ მწერლობის იმაგოლოგიურ ნარატივს აქვს შესაძლებლობა წარმოაჩინოს უახლესი პროცესები, ასახოს ქართული ნაციონალური იდენტობის მახასიათებლები თანამედროვე „მომრაობის“ ვითარებაში, განიხილოს ძირითადი პრობლემა – წინააღმდეგობა ან თანხვედრა იდენტობის ლოკალურ/ნაციონალურ და გლობალურ კონსტრუქტებს შორის.

საზღვარგარეთ მყოფობის ტრავმა დღეს გაფერმკრთალებულია, ამიტომაც ქართულ ინტერკულტურულ-მიგრაციულ მწერლობაში მეტია კრიტიკული პოზიციები. ეს მწერლები იკვლევენ თემებს, რომლებიც მარგინალური ან ტაბუდადებულია სამშობლოში (Rubins, 2021, გვ. 5).

იმაგოლოგიური დისკურსის გამო ქართულ ინტერკულტურულ-მიგრაციულ მწერლობას, „ადგილზე შექმნილი“ მწერლობისაგან განსხვავებით, **ადმოაჩნდა მეტი რესურსი ალტერნატიულობისათვის**. ეს მწერლობა გვარწმუნებს: საჭიროა არა მხოლოდ პოსტსაბჭოური სინამდვილისა და 90-იანი წლების ტრავმის აღწერა, ლოკალური პრობლემების ასახვა და მეტნაკლებად ანალიზი (იდენტობათა კრიზისი, ომები, ეთნიკონფლიქტები და სხვა), არამედ კოლონიურ/საბჭოურ ცნობიერებისაგან თავის დაღწევა, საბჭოთა პერიოდში დამუშავებული ნაციონალური ნარატივის, ნაციონალური სტერეოტიპების დეკონსტრუქცია, ნაციონალურ/ეთნიკურ იდენტობათა დეფინიცია/რედეფინიცია.

განვიხილავთ შემდეგ ავტორებს და ტექსტებს.

სოსო მეშველიანი

სოსო მეშველიანი ხშირად იმყოფება ესპანეთში, ცხოვრობს და მუშაობს ხანგრძლივად. როგორც პოეტი, მწერალი, მოღვაწეობს როგორც სამშობლოში, ასევე უცხოეთში.

ჩვენთვის ამჯერად მნიშვნელოვანია ესპანეთში შექმნილი ნაწარმოებები (2011-2022).

მეშველიანის შემოქმედებაში ორი პოეტური სივრცეა: ერთი არის სვანეთი, რომელთანაც კავშირი მუდმივია, უცხოეთში ყოფნის მიუხედავად (ამ ავტორის შემოქმედებაში დამოკიდებულება თავის კუთხესთან ცალკე განხილვის საგანია, ეს დამოკიდებულება თავისუფალია ყალბი აღტაცებისაგან, პათეტიკურობისაგან), მეორე უცხოეთია.

სოსო მეშველიანი მოექცა „იდუმალ და სასტიკ სამყაროებს შორის“ (სათაური ავიღეთ გადაცემიდან „სოსო მეშველიანი იდუმალ და სასტიკ სამყაროებს შორის“ (იათაშვილი, 2017).

სოსო მეშველიანს თავად ცხოვრებამ, ასევე შემოქმედებითმა ბუნებამ მისცა საშუალება, „შანსი“ ორი განსხვავებული სამყარო – ორი სრულიად განსხვავებული კულტურის (თანამედროვე, მაგრამ მაინც პატრიარქალური სვანეთი და თანამედროვე ესპანური ქალაქები) შეხვედრა არა მხო-

ლოდ განეცადა, საკუთარ თავზე გადაეტარებინა, არამედ შემოქმედის თვალთ „გაეზომა“ და გაეზარებინა კიდეც.

სოსო მეშველიანის შემოქმედება ადასტურებს ემიგრაციულობის თანამედროვე კონტექსტს: გაფართოვდა ადამიანის ყოფის სივრცული არეალი. გაიზარდა შემოქმედებითი მასშტაბებიც, პოეტურ ხედვას სულ სხვა „მასალა“ მიეცა. მთავარი შემდეგია: ე. წ. „ემიგრაციული თემატიკა“ – ტრავმა, ნოსტალგიები, სიშორის განცდა, ბავშვობის გახსენებები, დედის, მამის, მშობლიური სანახების მონატრება – განცდათა ეს „ემიგრაციული სკივრი“ ორიგინალური მხატვრული საშუალებებითა და არაჩვეულებრივი, ასე ვთქვათ, „ქართულ-სვანურ-უცხოური“ ტროპული სახეებითაა გამდიდრებული. მათგან ერთიც არ არის ნაძალადევი, ხელოვნური ან მხოლოდ ნოსტალგიური. ეს მხატვრული სახეები გულწრფელია, მაგრამ არა ზედაპირული, სიღრმისეულია, რეალურად განცდილი და შემდეგ გონებაში გამოტარებული.

ამჯერად განვიხილავთ მის პროზაულ კრებულს „ქუნარემ“ (გამომც. „ინტელექტი“. 2017).

სოსო მეშველიანმა პოეტური კრებულების შემდეგ პროზაული კრებულები „ქუნარემ“ გამოსცა („ქუნარემ“ – ძველი სვანური ტრადიციას და სულთა სტუმრობის კვირეულს ნიშნავს). ბევრს გაუკვირდა პოეზიის გვერდით პროზა, ექვითაც განეწყვნენ.

ისედაც ვიცით, ფასეულია სწორედ შემოქმედის ფიქრი და განსჯა უცხოეთში. უცხოეთში მაფიქრალ-მოაზროვნე კაცი ბევრ ისეთს დაინახავს და შეიგრძნობს, რაც სხვისთვის შეუმჩნეველია ან უმნიშვნელოა, რადგან ის „სხვა“ უმრავლეს შემთხვევაში მხოლოდ საშოვარზეა გადაგებული, არ ფიქრობს, როგორი მენტალობა უყალიბდებათ უცხოეთში წასულ ქართველებს, რას მოიტანს ეს მათთვის ან ქვეყნისათვის.

ვფიქრობ, რომ სოსო მეშველიანს პროზისაკენ თუნდაც უცხოეთში არსებულ პრობლემათა მეტად გააზრება-განსჯის სურვილმა უბიძგა... პოეზია ხომ მაინც სურათ-ხატები, მელოდია, ემოცია უფროა, ვიდრე განხილვა-პოზიცია.

1. კულტურათა კვეთაში ოპოზიციური სურათ-ხატი ბევრია.

„...რაც იქ დაგვხვდა, უკვე დიდად არ მოქმედებდა ჩვენზე, ისედაც ბევრ ტანჯვა-წამებაგამოვლილ ემიგრანტებზე, თუმცა ამ მომენტისათვის სხვა რამემ უფრო შეგვიქმნა დისკომფორტი... ავტორი-პერსონაჟი ესწრება კატალონიაში, ზღვისპირა ქალაქ სიდექსში, ტრანსების მსოფლიო ფესტივალს. „ამის საწინააღმდეგო რა უნდა მქონოდა, მაგრამ მართლაც გამაოგნებელ მდგომარეობაში აღმოვჩნდი ... ერთ ყრუ, ჭაობისბალახიან ადგილზე, სადაც რომელიღაც პატარა მდინარე უერთდებოდა ზღვას, ჩამოვჯდებოდი და ახლადგადვიძებული, ყნოსვაგაღიზიანებული, ვისუნთქავდი ველური ბალახის სურნელს“ (მეშველიანი, 2017, გვ. 53).

ამ დროს დედის ზარი:

„ხვალ კოხინჯრობაა, ხომ იცი, უქმე დღეა და ეცადე, არ იმუშაო. შევპირდი, გულში კი გამეცინა: კოხინჯრობა კი არა, უკვე მეოთხე წელი იყო, რაც ჩემთვის არც შობა არსებობდა, არც ხარება და არც ამაღლება... დედაჩემს ვესაუბრებოდი და თან სწორედ ამ ძველთაძველ დღესასწაულზე ვფიქრობდი, რომ უცებ საშინელმა ხმაურმა და აურზაურმა დამიხშო ყურთასმენა. შემოვბრუნდი, ორი შიშველი ტრანსი მაგიდაზე ასულიყო და გიჟურად ცეკვავდა. დანარჩენებს ერთი ამბავი აეტეხათ, კოდნენ, ხარხარებდნენ, ტაშს უკრავდნენ. ადგილზე შევქანდი, უკვე მართლაც დროის შეგრძნებადაკარგული, მობილურს დავამტერდი, საიდანაც ჯერაც ისმოდა დედის ყრუ, სუსტი ხმა. გაშტერებული ვიყავი და მეგონა დედაჩემს კი არა, ჩემს ძალიან შორეულ წინაპარს ვეხმეიანებოდი საუკუნეების მიღმიდან“ (მეშველიანი, 2017, გვ. 55).

არის დიდი სხვაობა „სხვისა“ და „ჩვენს“ იდენტობას შორის:

„იქაურ (კატალონია) ქალთან პაემანზე მისულს, ქალმა საკუთარი ქმარი გამაცნო ... პი-რი გამიშრა. ლამის საკუთარი ხორცის სუნი ვიგრძენი უკიდურესობამდე გაღიზიანებულმა ყველაფრის მიმართ. მათ იცოდნენ, რომ თავშესაფარი არ მქონდა. ამიტომ მათთან ცხოვრების ფასად, ქმარი საკუთარ ცოლთან სექსზე გამირიგდა – სამს უნდა გაგვეყო სარეცელი. მთელი სხეული დამიბუჟდა. გაქცევის თავიც არ მქონდა...“ (მეშველიანი, 2017, გვ. 68).

2. შესაძლოა, „უცხო“ უფრო მისაღები აღმოჩნდეს, ვიდრე თანამემამულეთა მენტალობა. პო-ზიციები, რომლებიც უცხო სივრცემ შეცვალა.

ერთხელ „ჟირონაში მუშაობას მოვრჩით, „მხოლოდ ნარკომანი ემიგრანტების გარემოც-ვაში აღმოვჩნდი ... ვენებჩამქრალი, სახედაკარგული ქართველი ბიჭები სათესლე ჯირკვლებ-ში იჩხერდნენ წამალს. ზოგიერთები უფრო შეძლებული ნარკომანების წამლის ნახარშიდან ნარჩენებს ამოწმენდნენ ხოლმე ნარმის პატარა სუფთა ნაჭრებით, ინახავდნენ, გასაჭირის დროს ერთად მოხარშავდნენ და ამ ნახარშს უშვებდნენ უკვე ისედაც მოწამლულ სისხლში“ (მეშველიანი, 2017, გვ. 59).

ავტორი სამუშაოზე დაშავდა.

„იმ სამ ქართველს, ვისთანაც ვცხოვრობდი იაფფასიანი სასტუმროს ძველ ოთახში, ამ ამბის გამო ყურიც არ გაუპარტყუნებიათ, აზრადაც არ მოსვლიათ ჩემი მონახულება. ეს მო-სალოდნელიც იყო, ისინი სამუშაო საათებზე ნადირობდნენ, დატაცებაზე იყვნენ, გალუტვა-ზე, იმის იქით ერთმანეთიც ფეხებზე ეკიდათ ... უკვირდათ ხოლმე, ამდენს რას ვინიშნავდი რვეულში, ამდენს რას ვანგარიშობდი, უბრალოდ ვერც კი წარმოედგინათ, რომ ლექსებს ვწერდი. როცა გულისამრევი დამცინავი ღიმილით ჩამეძიებოდნენ, ცივად ვიშორებდი“ (მეშველიანი, 2017, გვ. 16).

„ძნელია, თვეები, შეიძლება წლებიც დაჰყო უცხო ხალხის გარემოცვაში და ერთხელაც ვერ გადააწყდებ ისეთ თვალებს, ისეთ გამოხედვას, მცირეოდენი სიყვარული ან პატივისცემა რომ გამოსჭვიოდეს შენ მიმართ. ასეთ დროს, ცხადია, შენც იხურები მათთვის, იკეტები საკუთარ თავში. შინაგანად მძიმდები. მერე ისეც ხდება, ზოგიერთი პირიქით გადმოდის შეტევაზე... ეს მაშინ მოხდა, როცა პირველად ჩავიქნიე ხელი და გავეცალე არამზადა ქარ-თველ საქმოსნებს, უცხო სხეულზე ამოსული ძირმგარებივით რომ მრავლდებოდნენ, ისინი მარტო ფულს კი არ შოულობდნენ მათივე თანამემამულე მუშახელისაგან, არამედ მათი ფსი-ქიკური მდგომარეობითაც ერთობოდნენ ... ასე გრძელდებოდა, სანამ ყველა მათგანს საბო-ლოდ არ დაიმსგავსებდნენ. სამაგიეროდ, ქურდები ჰყავდათ დიდ პატივში, პირმოთნედ ეთაყვანებოდნენ, ეგლისებოდნენ, არაფერს აკლებდნენ ერთმანეთის შურიანობით დაგლახა-კავებული მუშების ხარჯზე, „შავები“ კი ფულის გამო თვალს ხუჭავდნენ ბევრ უსამართლო-ბაზე“ (მეშველიანი, 2017, გვ.24-25).

ერთხელ ავტორ-პერსონაჟს ახალ სამსახურში ამრეზით დახვდნენ ქართველობის გამო. რო-გორც გაირკვა, ვინმე კავკასიელი კრიმინალის („კავკასიელი გამბინო“) საშინელმა საქმეებმა („სას-ტიკი მკვლელობები, გამომალვა, ნარკობიზნესი, პროსტიტუცია, დაპირისპირებული კლანების ისე მოშორება, დღესაც რომ ვერ გაურკვევიათ“ (მეშველიანი, 2017, გვ. 33) ჩამოაყალიბა სპეციფიკური „კავკასიური იდენტობა“, რომელიც უკვე მიუღებელია თუნდაც იმ კომპანიისათვის, რომელშიც ავტორი იწყებს მუშაობას.

„რა მცდარი წარმოდგენა ჰქონდათ ევროპულ ცხოვრებაზე – ყველა იქ მყოფი ფუ-ფუნებით გალადებული ეგონათ. ამ სიხარბემ ბევრი გააუბედურა კიდევ ჩვენი კუთხის

საქმოსანი ბიჭები, ვისთანაც ეს ხალხი ჩადიოდა სამუშაოდ, უკვე კარგა ხნის დაბინავებულნი, საკმაოდ გარკვეულიყვნენ იქაურ სიტუაციაში, იქ მცხოვრებ ქართველ ებრაელებს შეკვროდნენ, მათთან ერთად უცნაური სახელწოდების სამუშაო – ემპრესა – დაეარსებინათ, სეთურის სისტემის ზუსტი ანალოგი მათთან სამუშაოდ მისულები – უმეტესობა მაღალპროცენტიანი, ნასესხები ფულით იყო წამოსული სამშობლოდან, რომელთა ოჯახები, უკაცოდ დარჩენილი, ვალებში ყელამდე ჩაფლულნი ... ძალაუნებურად ხდებოდნენ ამ გულისამრევი სისტემის მსხვერპლნი. ემპრესას მეპატრონეები თითოეულ მათგანში ძვრებოდნენ, იქექებოდნენ, მათს ფსიქიკას შლიდნენ, შემდეგ კი თავიანთ გემოზე აწყობდნენ. ეს შინაგანად დამძაღბული, დაბინძურებული სისტემა, გარეგნულად ლამაზად შეფუთული, ვითომ ყველა დემოკრატიულ კანონს მორგებული, ყველაზე დიდ, პრესტიჟულ სამშენებლო კომპანიად იქცა მთელ კატალონიაში ... მათ ჩემში ვერ შემოაღწიეს, ისინი ჩემთვის ფულიანი, მაგრამ ზოგადად უწიგნური, პრიმიტიული არსებები იყვნენ“ (მეშველიანი, 2017, გვ. 83 [84).

სრულიად გასაგებია, რა მოელოდა აქ ზნეობრივ, თავმდაბალ და პატიოსან ადამიანს, თან ვალებში ყელამდე ჩაფლულს. კონკრეტულად, ამ მინიატურის მიხედვით, დათოს. მას გაქეცილი ქართველები ისეთ დღეში ჩააგდებენ, რომ ვალებში დაახრჩობენ, საკვებისა და სიგარეტის გარეშე დატოვებენ, შრომაში სულს ამოხდიან და ბოლოს ისე გაამწარებენ, რომ მკვლელად აქცევენ. ძალიან ძნელია ამის კითხვა, აღქმა, მაგრამ ეს უნდა ვიცოდეთ.

„მისი პატიოსნება მშვენივრად უწყოდნენ, რაც არანაირად არ იყო მათთვის ხელსაყრელი....“ როგორც ავტორი გადმოგვცემს, ამ ვითარების გამო „მხეცმა საბუდამოდ შთანთქა ადამიანი ამ კეთილშობილ კაცში.... მოძალადე შემოაკვდა და. ოცი წელი მიუსაჯეს“ (მეშველიანი, 2017, გვ. 89-90).

ჩვენ ვიცით საშოვარზე წასული ქართველების ურთიერთგატანის შესახებ. ეს უფრო ვიცით, რადგან ამის დანახვა გვინდა და არც გვიჭირს, მაგრამ არანაკლებია ურთიერთდაპირისპირებისა და გაუტანლობის ფაქტები. ეს შენიშნა სოსო მეშველიანმა და შეულამაზებლად მოგვითხრო ამის შესახებ.

აქ სოსო მეშველიანს ვერ გავამტყუნებთ. გამოცდილება და სხვათა ნაამბობი ადასტურებს: ეს არის მწარე რეალობა, ამის დანახვა და დაწერა კი საჭიროა. არასწორი პოზიციების არდანახვა, არშეფასება, მით უმეტეს, თუ ეს უცხოეთში მყოფ ქართველობას ეხება, მხოლოდ უპერსპექტივობის განცდას გაამძაფრებს.

ამის შესახებ თავად სოსო მეშველიანიც ზუსტად შენიშნავს:

„ისეთ თემებზე ვწერ, რა თემებზეც მანამდე არავის არ გაუმახვილებია ყურადღება. ამიტომ საჭირო მგონია, რომ უფრო მეტმა ადამიანმა წაიკითხოს. არ ვდებ თავს მის მხატვრულ ღირებულებებზე, რაც არის ის არის, მაგრამ წაკითხვას ნამდვილად საჭიროებს. მე წიგნების არანაირი რეკლამის თავი არ მაქვს, მაგრამ მეტი დაინტერესება ნამდვილად საჭიროა, ალბათ მეტი გაანალიზებაც“ (გოგნიაშვილი, 2021).

3. სოსო მეშველიანს არ უჭირს აღიარება იმ დადებითი თვისებებისა, რომლებიც უცხოელ ადამიანში, შესაძლოა, დაინახო. ეს ასპექტები სოსო მეშველიანის შემოქმედების მნიშვნელოვანი მახასიათებელია. მან ბევრი პოზიტივი შენიშნა უცხოეთში: უცხოელთა დამოკიდებულება საქმესთან, ადამიანებთან.

„ერთ ზაფხულს გამიმართლა და უშუალოდ ესპანელებთან მოვეწყვე სამუშაოდ, დავისვენე, რასაც ჰქვია, სათქმელად არ ვარგა, მაგრამ ბოლო დროს უკვე გავუბრბოდი ქართველებთან ურთიერთობას, მათთან სამუშაოს აწყობას, ესპანელებთან კი შვება ვიგრძენი“ (მეშველიანი, 2017, გვ. 25). ამ მინიატურაში აღწერილია შეხვედრა სატვირთო მანქანის მძღოლთან, რომელიც „მიუხედავად იმისა, რომ მანამდე არასდროს მენახა... ჩემი ოჯახის ამბებითაც დაინტერესდა“ (მეშველიანი, 2017, გვ. 25). შემდეგ ავტორს მუშაობაშიც მიეხმარა, როცა დაინახა, თუ რამხელა ტვირთს ეწეოდა. „ცოტა

ხანს გაკვირვებული მიყურებდა, როცა ორ ან სამ ტომარას ვეზიდებოდი ერთდროულად. ბოლოს მისაყვედურა და მირჩია, შემდეგში ასე აღარ მოვეცეულიყავი. ეს მძლოლი ამ წარმოების უფროსი და მეპატრონე აღმოჩნდა“ (მეშველიანი, 2017, გვ. 27-28).

განსხვავებული ფასეულობების დაფიქსირება-გააზრებამ მისთვის:

ერთი მხრივ, არ გაავლო მიჯნა ეთნიკურსა და უცხოს, უცხოეთსა და სამშობლოს შორის, ქართულ და ევროპულ იდენტობათა შორის, არ შექმნა გაუცხოვების ეფექტი. მის შემოქმედებაში განსხვავებანი არის სხვადასხვა მენტალური პოზიცია, თუმცა ისიც ჩანს, რომ იდენტობათა კვეთა კარგი ფონია ზოგადადამიანურ ემოციათა, ფასეულობათა აღსაქმელად. ამ დროს ამგვარი შეხედულებაც ყალობდება: ადამიანებს უფრო ბევრი რამ აერთიანებს, ვიდრე ყოფს. ამას ადასტურებს სოსო მეშველიანის ესპანეთში შექმნილი ლექსები, მისი პოეტური კრებულები: „დამესასწაული“ (გამომც. ინტელექტი“, 2011), „მიჟლაპარ“ (გამომც. ინტელექტი“, 2014), „ARBOLES ALTOS“ (გამომც. ინტელექტი“, 2017), „მწერი ქარვამი“ („ნოდარ დუმბაძის გამომცემლობა და ლიტერატურული სააგენტო“, 2022).

მეორე მხრივ, „გულმოკლე პატრიოტივით“ არ დაიწყო უცხოეთში მყოფი ბევრი ქართველის მანკიერებათა დამალვა, არც უფიქრია ქართველთა მიერ გამოვლენილი სახეცვლილი ტრადიციული მენტალობების დაუსაბუთებელი დაცვა. მან განაზოგადა ეს სხვაობანი და დაგვანახა ადამიანი თავისი სულის სიღრმეებით, შენიშნა და აღნიშნა ისიც, რაც აუცილებლად დასანახი იყო.

გაბრიელ ტანიე „ანგელოზთა საკითხავი“

ბოლო დროს ქართველმა მკითხველმა მიიღო გაბრიელ ტანიეს სამი რომანი: „ქანაანის შვილები“ (2017). „ანგელოზთა საკითხავი“ (2021). „ჩემი ელ-შადაი, ჩემი ადონაი“ (2023).

გაბრიელ ტანიე სოსო გაჩავას ლიტერატურული ფსევდონიმია („ტანიე“ პატარა ტბის სახელია პირიქითა ხევსურეთში, რომელსაც გულის ფორმა აქვს). დაიბადა 1971 წელს, რამდენიმე იდენტობის მატარებელია: პროფესიით კინორეჟისორია, წლების განმავლობაში მოღვაწეობდა, როგორც სასულიერო პირი, ასევე პედაგოგი (ასწავლიდა ხატვას და თეატრზე მუშაობას,) საქართველოსთვის სტრატეგიულად ძალიან მნიშვნელოვან რეგიონებში – სამცხე-ჯავახეთსა და ფშავ-ხევსურეთში.

იოსებ გაჩავა ძირითადად ცხოვრობს პრალაში, მსახურობს ჩეხეთის მართლმადიდებელ ავტოკეფალურ ეკლესიაში. მისი სადებიუტო რომანი „ქანაანის შვილები“ გამოცემისთანავე ბესტსელერად იქცა.

რომანში „ანგელოზთა საკითხავი“ დღეისათვის მგრძნობიარე თემებია: რელიგია და მალაუფლების იარაღი, ეროვნული და რელიგიური უმცირესობები, ეკლესიის პრობლემები.

უცხოეთში მოღვაწე მწერალი გამოკვეთს შემდეგ კონტესტებს:

1. ხელისუფალთა და საპატრიარქოს ერთი ფრთა, რომელიც ფსევდოდირებულებების დაცვით ავიწროებს რელიგიურ უმცირესობებს. პირადი ინტერესების გამო ფარად მართლმადიდებლურ-ქრისტიანულ დროშას აფრიალებს და ხალხს ფსევდოპატრიოტული ფასეულობებით აქეზებს ადამიანის უფლებების შელახვისაკენ. მეუფეთაგან (კონსტანტინე, გარსევანი, ანდუყაფარი) ბევრმა იცის, რომ ღვთისმშობლის გამოსახულება არ არსებობს, ეს უბრალო ლაქაა, მაგრამ დაჟინებით იმეორებენ, რომ ეს უბრალო ლაქა არ არის, „დედაღვთისამ სწორედ ამ უბრალო ლაქის საშუალებით ისურვა გამოცხადება“ (ტანიე, 2021, გვ. 238). ჩაიხანამ არსებობა შეწყვიტოს, ხოლო შენობა, სადაც ღვთისმშობლის გამოსახულებაა, უნდა გადაკეთდეს ეკლესიად და ეკურთხოს წმინდა ევლას სახელზე“ (ტანიე, 2021, გვ. 65). რატომ? მეუფეთა ერთი ნაწილი ნამდვილ მიზანს ჩქმალავს, ხოლო ჩაიხანას ადგილას ეკლესიის აშენების აუცილებლობას შემდეგით ხსნის: ამ რეგიონში დიდი მნიშვნელობა აქვს ქართულ მართლმადიდებლურ ტაძარს, სადაც „ქართველები არა მხოლოდ ილოცებენ, არამედ შეიკრიბებიან, გაერთიანდებიან, ქართული სული აღზევდება, ამის შესახებ პრემიერ-მინისტრთანაც გვქონდა რამდენიმე შეხვედრა... ბატონმა პრემიერმა ჩენს გეგმას მხარი დაუჭირა და ეკლესიის მშენებლობისათვის სახელმწიფო ბიუჯეტოდან გამოყო თანხა... არ არის ამ

ქვეყნის მოქალაქე ხუდია ჯაფაროღლუ, არა არის ვალდებული გაითვალისწინოს ქართული სახელმწიფოს ინტერესები?... ნამდვილად ვერ გადაწყვება სახელმწიფოს ინტერესები ერთი მოქალაქის ხუმტურებს“ (ტანიე, 2021, გვ. 264). თითქოს ვერაფერში შეედავები, მაგრამ ჩვენ ამ ნაწარმოებით მომსწრე ვხდებით ტოტალური ტყუილისა, რელიგიის მესვეურთა მიერ ფაქტების გაყალბებისა, ადამიანების ჩაგვრისა. როგორც თავად ეს მეუფეები აღნიშნავენ, მათ „კოზირი უჭირავთ ხელში, მთავრობა მათ გვერდითაა, მეგობრები, რომლებიც მაღალ თანამდებობზე არიან, მხარს უჭერენ“ (ტანიე, 2021, გვ. 175).

2. ამ რომანის მთავარი პერსონაჟია მოსამართლე ლაზარე ჩერქეზიშვილი. მისი სიმართლე კი ის არის, რომ არც ერთ ქვეყანაში ეროვნული უმცირესობა არ უნდა დაიჩაგროს, არც საქართველოში, მარნეულში თათარ ხუდია ჯაფაროღლუს ჩაიხანა არ უნდა დაიხუროს მხოლოდ იმ არგუმენტის გამო, რომ კედელზე გაჩნდა ღვთიშობლის გამოსახულება. ახალგაზრდა მოსამართლე აქ რამდენიმე მომენტს ითვალისწინებს:

თათარ ხუდია ჯაფაროღლუს უფლებებს (ჩაიხანა მისი პირადი საკუთრებაა), მის გრძნობებს და ემოციებს (საყვარელი, გარდაცვლილი ცოლის სახელზეა აგებული), რაც მთავარია, ღვთისმშობლის გამოსახულების საეჭვო წარმომავლობას. უპირობოდ მისი მიღება არ შეიძლება, უნდა გაირკვეს, საიდან გაჩნდა. მართლაც, ქიმიური ანალიზის, ექსპერტიზის შედეგად ირკვევა კიდევაც, რომ ეს გამოსახულება სპეციალურად ქიმიური ნაერთებით შეიქმნა ანუ ეს ღვთიშობლის გამოსახულება კი არა, ჩვეულებრივი ლაქაა. ჩანს, რომ ჩაიხანას ადგილას ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის გახსნა კერძო (საპატრიარქის ერთი ფრთა) ინტერესების შესაბამისია და სრულიად არაფერი აქვს საერთო ჭეშმარიტ რელიგიურ, ადამიანურ ფასეულობებთან. ახალგაზრდა მოსამართლის გადაწყვეტილების შესახებ ადამიანებამდე მივიდა სრულიად არასწორი ინფორმაცია, რის გამოც მათ ვერ გაიგეს ლაზარეს სიმართლე „...ამდენი ხალხი, მორწმუნე ხალხი ჩააგდო... რად უნდა სიწმინდეს გამოკვლევა და გამოძიება? ქიმიური ცდების ჩატარება?“ (ტანიე, 2021, გვ. 314).

„ულმერთო მოსამართლემ თავისი ანტიქრისტიანული განაჩენით იმ თათარს დაუჭირა მხარი“ (ტანიე, 2021, გვ. 111).

არადა სწორედ ლაზარეს პოზიციას ქრისტიანული, რადგან ის ეფუძნება ქართული მართლმადიდებლობის უმთავრეს – ტოლერანტობის პოზიციას, ადამიანის უფლებების დაცვას, მისი გრძნობების, ემოციების გათვალისწინებას.

საზღვარგარეთ მოღვაწე მწერლის სათქმელი ესაა: რწმენა ნიშნავს რელიგიის არსის შეცნობას, მისი ფუნდამენტური ღირებულებების გაცნობიერებას და დაცვას ნებისმიერ ვითარებაში. რელიგიური მსოფლმხედველობა ხომ გაქვავებული დოგმა არ არის, ის რეალიზდება და გამოიცდება სხვადასხვა კონტექსტში, ეპოქაში, ყოველდღიურად ივსება ჭეშმარიტებათა ახალ-ახალი ნაკადებით, მიხვედრებით, პოზიციებით... ლაზარეს აზრით, ეს არის ჭეშმარიტი მორწმუნის პოზიცია.

ლაზარეს ზნეობრიობა, ღირსება ინტელიგენტური, მართლაც მორწმუნე, ტრადიციული ოჯახიდან მოსდევს, მაგრამ, ვფიქრობთ, ლაზარეს პოზიციის ჩამოყალიბებაში გარკვეულწილად უცხოეთმაც თავისი როლი ითამაშა. (როგორც მწერალი წერს, ახალი ხილი იყო პოსტსაბჭოთა ქვეყნებიდან უცხოეთში ახალგაზრდების გაგზავნა, მაგრამ ლაზარემ მამამისის მეგობრის დახმარებით მოახეხა ლონდონის უნივერსიტეტის სასწავლო გრანტის აღება). ჩვენ ვგულისხმობთ უცხოეთში მყოფობის იდენტობას, იმაგოლოგიურ, ანუ დისტანციიდან, „იქიდან შეფასების“ კონტექსტს.

სამშობლოში დაბრუნებული ახალგაზრდა იურისტისათვის ბევრი რამაა გაურკვეველი, მაგრამ ის რეალურ ლოგიკას ითვალისწინებს. ამიტომაც გამოიტანა სასამართლო პროცესზე ჯერ სიმართლის მოძიების, მერე ამ სიმართლის დაცვის გადაწყვეტილება. მისთვის საბოლოოდ ცხადი ხდება სამშობლოში სახელმწიფო თუ რელიგიური ინსტიტუციების უკანონო, ადამიანურ მორალს მოკლებული ქმედებანი.

3. ხელისუფლებისა და რელიგიის მესვეურთათვის სწორედ უცხოეთი ქვეულა საშიშროებად, მათ კარგად ესმით, რომ „იქიდან“ უფრო შესამჩნევია მათი ქმედებანი. მწერალი ცალსახად გამოხატავს ხელისუფალთა და რელიგიის მესვეურთა პოზიციას ლაზარეს უცხოეთში მიღებული განათლების მიმართ. აბსურდულია მათი საყვედური ლაზარეს ურწმუნოების გამო: „ასეთი რა სისხლი გადაგისხეს იმ უცხოეთში, აღარაფრის რომ არ გწამს და აღარც გჯერა“ (ტანიე, 2021, გვ. 106). „უცხოეთშიც იმიტომ გაგიშვით სასწავლებლად, იმედი მქონდა, იქიდან ჰკუადამჯდარი, ნასწავლი კაცი დაბრუნდებოდი, დამოუკიდებელ ცხოვრებას მიეჩვეოდი, შენ კიდევ იმაზე მეტი ბრიყვი ბავშვი ჩამოხვედი, ვიდრე წასვლამდე იყავი“ (ტანიე, 2021, გვ. 109). მეუფე კონსტანტინე ლაზარეს მიმართავს: „უცხოეთმომვლილი ახალგაზრდებისათვის ძალიან რთულია, ჩვეულებრივი ლაქა ღვთისმშობელთან დააკავშიროს...“ (ტანიე, 2021, გვ. 238). მათი აზრით, ლაზარეს სიბრიყვე გამოიხატება არარსებული და თავად ქრისტიანული რელიგიისათვის შეუსაბამო სასწავლების არდაჯერებაში.

მწერლის სათქმელი ნათელია: **დღეს ქრისტიანულ სასწავლებს, ქრისტიანულ ფასეულობებს თავად რელიგიის მესვეურნი პირადი მიზნებისათვის იყენებენ ... ვფიქრობთ, მწერალს კიდევ უფრო მეტი სათქმელი აქვს: პოსტსაბჭოთა სივრცეში რელიგიის ტოტალურობამ, მასტაბურობამ რელიგიის ზოგიერთ უკეთურ მსახურს მისცა შესაძლებლობა ესარგებლა ამ ვითარებით, გამოეყენებინა ადამიანების სურვილები – დაენახათ უფლის სასწავლებლები და ყოვლისშემძლეობა და ამით გაემლიერებინათ რწმენა.** ღვთისმშობლის არარსებული გამოსახულება მათ ყალბი პატრიოტულ-ქრისტიანული პროპაგანდისათვის სჭირდებათ, ამგვარ ძალადობას ბევრი ვერ უძლებს. ამიტომაც თავს იკლავს მოსამართლე ჯემალ ბაირამაშვილი. ეს დალუპავს ქვეყანას, რადგან ადამიანებს ნელ-ნელა ხელიდან გამოეცლება ქართული იდენტობის უპირველესი საყრდენი – მართლმადიდებლობის ჭეშმარიტება.

ლაზარე ცდილობს დაიცვას სიმართლე, ფარდა ჩამოხსნას ამ კომმარულ სიცრუეს:

„მე მოსამართლე ვარ, მოსამართლის შვილი და შვილიშვილი და ისინი ყოველთვის მარიგებდნენ, რომ მოსამართლის უპირველესი ვალია, განსაჯოს სწორად – უდანაშაულო ადამიანს არ აურიოს ცხოვრების გზა, ამასვე მასწავლიდნენ ჩემი ლექტორები იმ ავადსახსენებელ ლონდონშიც... მეუფე კონსტანტინეს მინდა ვკითხო – განა თვითონ ღვთისმშობლისათვის სათნო იქნება ლოცვა იმ ტამარში, რომელიც სიყალბის და ცილისწამების საფუძველზე აიგება? ადამიანის გაუბედურების წყალობით აიგება? (მეუფეებმა ხუდია ჯაფაროლლუს დაპატიმრების მიზნით ნარკოტიკი ჩაუდეს. ნ. ჩ.). რასაც ეპისკოპოსი შანტაჟს უწოდებს, ჩემი მხრიდან იყო მხოლოდ იძულებითი ქმედება, უდანაშაულო კაცი ციხიდან გამოვიყვანო“ (ტანიე, 2021, გვ. 265 – 266).

ამ სიტყვებით ლაზარე პატრიარქს მიმართავს, რადგან მისი მხარდაჭერის იმედი აქვს, მაგრამ პატრიარქიც გახვეულია საპატრიარქოში დაგებულ მახეებსა და შანტაჟში.

4. რომანში ქართული საპატრიარქოს პრობლემები, საპატრიარქოში გამეფებული უზნეობა, ქრისტიანული მსოფლმხედველობისათვის სრულიად შეუფერებელი ატმოსფერო (პატრიარქის მოწამვლის ცდა, მღვდელთმთავართა, მეუფეთა ჟარგონითა და სკაბრეზით სავსე მეტყველება) ისე ხელშესახებად, ნატურალისტურად არის წარმოდგენილი, ავტორს მართლაც ბეწვის ხიდზე უწევს გავლა. როგორც თავად ავტორი აღნიშნავს, „საქართველოს საპატრიარქოა ნახსენები ჩვეულებრივ, მაგრამ ეს არ არის ჩასაფრებული კაცის ნაწერი, ეს არის გაუბედურებული კაცის ნაწერი, იცი რა, ხომ უნდა ითქვას... სადღაც მივდივართ... მე მინდა ახლა თქვენ დაგაფიქროთ...“ (ჯანელიძე, 2021).

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი, როგორც თავად ავტორი ამბობს, არის თავად გაბრიელ ტანიეს სასულიერო ცხოვრების გამოცდილება.

„...ამ წიგნში რა თემებიც არის, მე ეს თემები ვიცი და მე გავიარე. მე ძალიან წინააღმდეგი ვარ იმისა, რომ ამ სენსიტურ თემებს ბევრი ისე ეხება, რომ სარკასტულად ... საფრთხილო თემებია ... ჩემს თავზე მაქვს გამოცდილი, რაც აქ ხდება. ეკლესიის წიაღში ბევრი ცდომილება იყო. ხევსურეთში ახლაც ამბობენ, რომ სანამ მე იქ სასულიერო პირი ვიყავი, ბევრი რამ გაკეთდა. სინამდვილეში, ეს იყო ძალიან მცირე, რისი გაკეთებაც მაცალეს...“ (ანთაძე, 2018).

მეორე ფაქტორი, ჩვენი აზრით, უცხოეთში ცხოვრების გამოცდილებაა, ის „იქიდან“ დანახვის იმაგოლოგიური პოზიციაა, რომელიც საქართველოს რელიგიურ სისტემაში არსებულ უკეთურებას, ამ უკეთურების სამომავლო საფრთხეს უფრო მკვეთრად გაგრძნობინებს და თუ ნამდვილი მწერალი ხარ, არ დარჩები შორიდან მაცქერალის და შემფასებლის პოზიციაში.

როგორც თავად ავტორი ამბობს, „მას არა აქვს შეცვლის ამბიცია, მას აქვს ტკივილის განცდის ამბიცია... აქ ხომ ის თემებია, რომლებზეც ლაპარაკს ყველა გაუბრბის. ეს არ იყო ადვილი დასაწერი...“ (ჯანელიძე, 2021). „ვწერ გულგახეთქილი კაცის პოზიციიდან. ჩემი წიგნი არც სარკასტულია და არც ირონიული. რეალობასა და ადამიანის ტკივილზე ვწერ“ (სახოკია 2022).

ქართული ინტერკულტურულ-მიგრაციული მწერლობის იმაგოლოგიური დისკურსი მნიშვნელოვანია:

საქართველოსთან სივრცულ-დროითი დისტანცირება მწერლებს, პერსონაჟებს საშუალებას აძლევს, საკუთარ გამოცდილებაზე დაყრდნობით გაანალიზონ, რა დაბრკოლებები ხვდებათ უცხოეთში, რა პერსპექტივები იკვეთება. რა გავლენას ახდენს უცხოეთი ალტერნატივების ძიებასა და არჩევანის გაკეთებაზე, რას აკეთებენ იქ ჩასული ქართველები, ვითარდებიან თუ არა პროფესიული თვალსაზრისით, რა მივიღოთ უცხოელთაგან, რა დავთმოთ ჩვენი... როგორ ჩანს „იქიდან“ ჩვენი მენტალობა.

ეს კითხვები და შეძლებისდაგვარად პასუხებიც მნიშვნელოვანია დღევანდელი ქართველი-სათვის, ზოგადად, განვითარებადი საქართველოს საზოგადოებისათვის, რომელმაც უნდა გაანალიზოს თავისი მიმართება გლობალურ სამყაროსთან, სწორად შეაფასოს ეროვნულ და ინტერკულტურულ იდენტობათა შეხვედრა – გადაკვეთის წერტილები.

გამოყენებული ლიტერატურა:

- ანთაძე, ია. (2018). ინტერვიუ გაბრიელ ტანიესთან: ნელ-ნელა ადამიანები ჩემი გმირებით ჩავანაცვლე. პირველი არხი 2018. shorturl.at/cmEP5
- გოგინაშვილი, თეონა. (2021). მასალა. სოსო მემშველიანი – ცხოვრებაზე, სამყაროზე, პოეზიაზე. <https://sputnik-georgia.com/20181108/soso-meshveliani-242854166.html>
- იათაშვილი, შოთა. (2017). გიორგი ლობჟანიძე სოსო მემშველიანის შესახებ: სოსო მემშველიანი იდუმალ და სასტიკ სამყაროებს შორის. <https://shorturl.at/bjE38>
- Neuman, Birgit. (2010) Grundzüge einer kulturhistorischen Imagologie: Nationale Selbst- und Fremdbilder in britischer Literatur und anderen Medien des 18. Jahrhunderts. KulturPoetik, Bd. 10, H. 1. Vandenhoeck & Ruprecht. S.1-24.
- Rubins (2021), Redefining Russian Literary Diaspora, 1920-2020 Edited by Maria Rubins
- სახოკია, ქეთინო. (2022). „მთავარი ის კი არ არის, რა შექმენი, არამედ ის რა გაბედე“. ქეთევან გახოკიას ინტერვიუ გაბრიელ ტანიესთან“. https://indigo.com.ge/articles/interviu-gabriel-taniestan/?fbclid=IwAR0UY56kUhgBiOphCRzkAsE3_mxdWsscEwwmQtPQDsJfZfeFZ6UgkeDOZc.
- ტანიე, გაბრიელ. (2021). ანგელოზთა საკითხავი. თბილისი: გამომც „ინტელექტი“.
- ჯანელიძე, მარიამო (2021). „ანგელოზთა საკითხავი“ – გაბრიელ ტანიეს ახალი რომანი (2021)“. მარიამო ჯანელიძის სიუჟეტი გაბრიელ ტანიეს რომანის – „ანგელოზთა საკითხავი“ შესახებ. <https://www.facebook.com/watch/?v=258275043065375>. 2021

References:

- Antadze, Ia. (2018). Int'erviu gabriel t'aniestan: nel-nela adamianebi chemi gmirebit chavanatsvle. [Interview with Gabriel Tanie: I gradually replaced people with my heroes]. P'irveli arkhi. shorturl.at/cmEP5
- Gogniashvili, Teona. (2021). Masala. Soso Meshveliani – tskhovrebaze, samq'aroze, p'oeziaze. [Material. Soso Meshveliani - on life, world, poetry]. <https://sputnik-georgia.com/20181108/soso-meshveliani-242854166.html>
- Janelidze Mariamo (2021). „Sngelozta sak'itkhavi“ – Gabriel T'anies akhali romani“.Mariamo Janelidzis siuzhet'i Gabriel T'anies romanis – „angelozta sak'itkhavi“ shesakheb. [“Reading for the Angels” □ Gabriel Tanie's new novel. Mariamo Janelidze's story about Gabriel Tanie's novel “Reading for the Angel”]. <https://www.facebook.com/watch/?v=258275043065375>. 2021
- Iatashvili, Shota (2017). Giorgi Lobzhanidze Soso Meshvelianis shesakheb: Soso Meshveliani idumal da sast'ik' samq'aroebis shoris. [Giorgi Lobzhanidze about Soso Meshvelian: Soso Meshvelian between mysterious and cruel worlds]. <https://shorturl.at/bjE38>
- Neuman, Birgit. (2010) Grundzüge einer kulturhistorischen Imagologie: Nationale Selbst - und Fremdbilder in britischer Literatur und anderen Medien des 18. Jahrhunderts. KulturPoetik, Bd. 10, H. 1. Vandenhoeck & Ruprecht. 1-24.
- Rubins (2021), Redefining Russian Literary Diaspora, 1920-2020 Edited by Maria Rubins
- Sakhok'ia Ketino (2022).). „Mtavari is k'i ar aris, ra shekmeni, aramed is ra gabede“. Ketevan Gakhok'ias int'erviu Gabriel T'aniestan“. [“The main thing is not what you created, but what you dared”. Ketevan Ghakokia's interview with Gabriel Tanie.. https://indigo.com.ge/articles/interviu-gabriel-taniestan/?fbclid=IwAR0UY56kUhgBiOphCRzkAsE3_mxdWsscEwwmQtPQDsJEZfeFZ6UgkeDOZc.
- T'anie, Gabriel. (2021). Angelozta sak'itkhavi. [“Reading for the Angels”. Tbilisi: "Intellecti".